



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #009/19<sup>1</sup> გადაწყვეტილების მიმოხილვა

მარიამ კირაკოზაშვილი (სტუდენტი)

### ფაქტები

ადვოკატი, საადვოკატო მომსახურებას ახორციელებდა საჩივრის ავტორთა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. ადვოკატის მიერ, ტელევიზიაში გაკეთებული განცხადებები, საჩივრის ავტორთა მიმართ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმციას, კერძოდ, უწოდებს მათ „თაღლითებსა და კრიმინალებს“. ამით იგი ლახავს ოჯახის რეპუტაციას, აგრეთვე, საჩივრის ავტორთა პატივსა და ღირსებას.

### სამართლებრივი შეფასება

საჩივრის ავტორმა, ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა და მოთხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, თანამომჩივანედ ჩაერთო საჩივრის ავტორის მეუღლე. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) და 6.1 მუხლების შესაძლო დარღვევაზე. ადვოკატის ვალდებულება არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. მან კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მატარებელ სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი თავისი გამოსვლით არ გასცდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, როდესაც საჩივრის ავტორის მიმართ გამოიყენა ტერმინები: „თაღლითი“ და „კრიმინალი“. ადვოკატის მიზანი იყო საკუთარი კლიენტის ინტერესების ეფექტური დაცვა და არა მოწინააღმდეგე მხარის პატივისა და ღირსების შელახვა. ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადებები იწვევს საჩივრის ავტორთა არასათანადო მდგომარეობაში ჩაყენებას, რადგან ის მოქმედებს თავისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რაც მოსაწონი ვერ იქნება მოწინააღმდეგე მხარისთვის. ამასთან, ადვოკატის მიზანი იყო საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვა, ხოლო მეორე მხარის მსგავსი ტერმინოლოგიით მოხსენიება მისი მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა და გამომდინარეობდა მხარეთა შორის არსებული დავის შინაარსიდან. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორთა მოხსენიება არ მომხდარა დამამცირებელი ტერმინებით, არამედ გამოყენებული იქნა ტერმინი „თაღლითი“, რაც სსკ-ის 180-ე მუხლი ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობას, რომელსაც ეწოდება თაღლითობა. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მსგავსი ტერმინის გამოყენება შესაძლოა, ადვოკატის დაცვის სტრატეგიის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი იყოს, რათა წარმოაჩინოს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის მცდარობა და საკუთარი კლიენტის არგუმენტების უტყუარობა.

### დასკვნა

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ არსებობდა დისციპლინური ღიჯის აღძვრის საფუძველი.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5d6d1a30673f7.pdf/009.19%20%2005.04.19%20ar%20agdzvra.pdf>